სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/23

ქ. თბილისი 15 მაისი 2026

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სტუ-ის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2026 წლის 20 აპრილის №0000453014 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 15 მაისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერი), კანონით დადგენილი წესით, გადასცეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, სამსახურეობრივი საჭიროებისთვის, უვადოდ, სარგებლობის უფლებით, დანართში (იხ. დანართი) მითითებული უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**